

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის", ევროპული კრედიტ-სატრანსფერო სისტემის (ECTS) საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N 473 ბრძანების, საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის N 785 ბრძანების შესაბამისად. ცოდნის შეფასების თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო სტუდენტის თეორიული მომზადების დონეს, არამედ აგრეთვე იმ პრაქტიკულ უნარ-ჩვევების ფლობას, რომელიც მოცემული სასწავლო კურსის პროგრამითაა გათვალისწინებული.

ECTS-ის სისტემის მიხედვით წარმოდგენილია სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული შეფასების 7 დონე -

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- A - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა
- B - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
- C - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
- D - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
- E - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების - 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

Fx - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)

F - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი) .

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოცემული ერთერთი დადებითი შეფასებით.

ცოდნის შეფასების ფორმები – ზეპირი გამოკითხვა, ტესტირება, ცალკეული პრაქტიკული ჩვევების ათვისების დონე.

ცოდნის შეფასების კომპონენტები და მათი თანაფარდობა ქულებში:

მეცადინეობაზე დასწრება – 6 ქულა

პრაქტიკული აქტივობა – 30 ქულა

პრაქტიკული უნარ-ჩვევები – 24 ქულა

გამოცდა – 40 ქულა

საბოლოო შეფასების მაქსიმალური მაჩვენებელი – 100 ქულა

პროცენტული მონაცემების გამოთვლისას ვითვალისწინებდით იმ მოცემულობას, რომ 1% ტოლია 1 ქულის.

დასწრების პროცენტული მაჩვენებელი ყოველი კონკრეტული სტუდენტისათვის გამოითვლება შემდეგნაირად: სასწავლო კურსის კურსციების რიცხვი არის 12. ერთ კურსციაზე დასწრების მაჩვენებელი – $6\% : 12 = 0,5\%$ კონკრეტული სტუდენტისათვის დასწრების პროცენტული მაჩვენებელი ტოლია $0,5\%$ გამრავლებული კურსციების იმ რაოდენობაზე, რომელზეც დაესწრო სტუდენტი.

პრაქტიკული აქტივობის პროცენტული მაჩვენებელი ყოველი კონკრეტული სტუდენტისათვის გამოითვლება შემდეგნაირად: სასწავლო კურსის თორმეტი საკურსაციო თემის შეფასების მაქსიმალური მაჩვენებელი 5-ქულიანი სისტემით ტოლია $12 \times 5 = 60$. პრაქტიკული აქტივობის პროცენტული მაჩვენებელი ტოლია 30% . ვითვლით შეფასების ერთი ქულის პროცენტულ მაჩვენებელს, რომელიც ტოლია – $30\% : 60 = 0,5\%$. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სტუდენტის პრაქტიკული აქტივობის პროცენტული მაჩვენებლის გამოსათვლელად მის მიერ მიღებული შეფასებების ჯამი მრავლდება ერთი ქულის შესაბამის პროცენტულ მაჩვენებელზე ანუ $0,5\%$ -ზე.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების პროცენტული მაჩვენებელი ყოველი კონკრეტული სტუდენტისთვის გამოითვლება შემდეგნაირად:

სასწავლო კურსის ფორმატით გათვალისწინებულია შემდეგი პრაქტიკული ჩვევების ათვისება:

1. პირის ღრუს ინსპექცია. კბილების პაროდონტის ქსოვილების, ენის, რბილი და მაგარი სასის, პირის ღრუს ფსკერის, პირის ღრუს გამომფენი ლორწოვანი გარსის მდგომარეობის შეფასება, თანკბილვის ტიპის დადგენა.
2. ამბულატორიული სტომატოლოგიური ბარათის შევსება, მასში პირის ღრუს რბილი და მაგარი ქსოვილების მდგომარეობის ასახვით.
3. პირის ღრუსა და მიმდებარე რეგიონების კლინიკური გამოკვლევა – კბილების ვერტიკალური და ჰორიზონტალური (გვერდითი) პერკუსია, პირის ღრუს ფსკერის, ლოყის,

ყბა-ყურა, ყბისუკანა, ყბისქვეშა, ნიკაპქვეშა და კისრის რბილი ქსოვილების პალპაცია (ბი- და მონომანუალური პალპაციის ტექნიკის ათვისება).

4. სანერწყვე ჯირკვლებისა და ლიმფური კვანძების მდგომარეობის შეფასება პალპაციის საშუალებით.

5. საკბილე მორჩისა და კბილების მდგომარეობის შეფასება დენტალური და პანორამული რენტგენოგრაფიული გამოკვლევით.

6. ზედა და ქვედა ყბაზე ოპერაციული ჩარევის მიზნით გამოყენებული ინფილტრაციული გაუტიკივარების მეთოდების მანუალური დამუშავება მულაჟზე და თავის ქალაზე.

7. ზედა ყბაზე ოპერაციული ჩარევის მიზნით გამოყენებული რეგიონული გაუტიკივარების მეთოდების მანუალური დამუშავება მულაჟებზე და თავის ქალაზე.

8. ქვედა ყბაზე ოპერაციული ჩარევის მიზნით გამოყენებული რეგიონული გაუტიკივარების მეთოდების მანუალური დამუშავება მულაჟზე და თავის ქალაზე.

9. სამწვერა ნერვის ძირითადი ტოტების რეგიონული გაუტიკივარების მეთოდების (ბაზალური ანესთეზიების) მანუალური დამუშავება მულაჟზე და თავის ქალაზე.

10. კბილების და ფესვების საექსტრაქციო ძირითადი და დამხმარე ინსტრუმენტების შერჩევა კბილთა ჯგუფებისა და ანატომიური თავისებურებების გათვალისწინებით.

11. მაშების და ელევატორების გამოყენების მანუალური ჩვევების დამუშავება.

12. ზედა და ქვედა ყბის ცალკეული ჯგუფის კბილებისა და ფესვების ექსტრაქციის მიზნით ექიმისა და პაციენტის პოზიციების შერჩევა პედაგოგის მიერ დასმული სიტუაციური ამოცანების გათვალისწინებით.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების პროცენტული მაჩვენებელი ტოლია – 24%
სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების რაოდენობაა – 12. ვინაიდან ზემოთ მოყვანილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების სირთულე დაახლოებით თანაბარია, თითოეულის შეფასების პროცენტული მაჩვენებელი ტოლია $24\%:12=2\%$ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარჩვევების ათვისების პროცენტული მაჩვენებელი გამოითვლება შემდეგნაირად – 2% გამრავლება პრაქტიკული ჩვევების იმ რაოდენობაზე, რომელთა ათვისებაც შეძლო სტუდენტმა.

დასკვნით გამოცდაზე დამუშავების წინაპირობა.

სასწავლო კურსის ბოლოს ივსება უწყისი, მაქსიმალურ 60 ქულაზე გათვლით. მასში შედის სტუდენტის დასწრების (I გრაფა), პრაქტიკულ აქტივობის (II გრაფა) და პრაქტიკული უნარ-ჩვევების (III გრაფა) პროცენტული მონაცემების ანუ ქულათა ჯამი. სტუდენტი დაიშვება გამოცდაზე, თუ I, II და III გრაფების მონაცემთა ჯამით (მაქს. – 60) აგროვებს მინიმალურ 11 ქულას.

გამოცდის შეფასების კრიტერიუმები:

საგამოცდო ბილეთი შედგება 4 თანაბარი სირთულის პროგრამული საკითხისაგან. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება უდრის 40%. თითოეული საკითხის შეფასების მაჩვენებელია - 10%. (1 ქულა უდროს 1%)

10 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი.

9 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია ლოგიკური მსჯელობის უნარი.

8 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის საკმაოდ კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს.

7 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს.

6 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის კარგ ცოდნას, უმნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას.

5 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ცოდნას, შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას.

4 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის საშუალო დონის ცოდნას, შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებლად მსჯელობისას.

3 ქულა - სტუდენტის ცოდნა არაა დამაკმაყოფილებელია, შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებლად მსჯელობისას.

2 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობას.

1 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში, ვერ მსჯელობს დამოუკიდებლად.

0 ქულა - სტუდენტი ვერ ავლენს საკითხის თეორიულ ცოდნას, ვერ მსჯელობს საკითხის შესახებ.

V გრაფაში - ფიქსირდება გამოცდის ქულა – 24 დან 40-მდე

VI გრაფაში – “საბოლოო შეფასება” - ფიქსირდება I, II, III და V გრაფების მონაცემთა ჯამი, ანდა წინასწარ გამოთვლილი წინასაგამოცდო ქულისა და საგამოცდო ქულის ჯამი.

აღნიშნული მონაცემები არ ჯამდება, თუ გამოცდის შეფასება ნაკლებია 24-ზე. მინიმალური 11 ქულის შემთხვევაში სტუდენტს საგანი ჩაეთვლება ჩაბარებულად თუ გამოცდაზე მიიღებს მაქსიმალურ 40 ქულას ($11+40=51$).

სტუდენტი დაიშვება განმეორებით გამოცდაზე თუ მიიღებს შეფასებას F_x (41 _ 50 ქულის ფარგლებში) სტუდენტი ასევე დაიშვება განმეორებით გამოცდაზე, თუ გამოცდის შეფასება ნაკლებია 24-ზე, მაგრამ I, II და III გრაფების მონაცემთა ჯამი 41 და მეტია. ასეთ შემთხვევაში იწერება F_x და გამოცდის ქულა წინა ქულებთან არ ჯამდება. ორივე შემთხვევაში გამოიწერება დამატებითი უწყისი გამოცდაზე განმეორებით გასვლისთვის სტუდენტი საგანში გამოცდაზე გადის მხოლოდ ორჯერ. გამოცდაზე ორჯერ F_x -ის მიღების შემთხვევაში სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად და ვალდებულია საგანი გაიაროს თავიდან – $F_x + F_x = F$. თუ სტუდენტი პირველ გამოცდაზე არ გავიდა (საპატიო ან არასაპატიო მიზეზით), გამოცდაზე გადის მხოლოდ ერთჯერ. F -ის ან F_x -ის მიღების შემთხვევაში სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად და ვალდებულია საგანი დაამუშაოს თავიდან.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის საგანში დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

აკადემიური კონსულტაციები დაიწყება გამოცდამდე ორი კვირით ადრე, შესაბამისად იმ ბაზაზე და იმ პედაგოგთან, რომელთანაც სტუდენტმა გაიარა კურსიული მეცადინეობა. კონსულტაციები იწარმოებს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 15:00 დან 16:00 სთ-მდე.